

140/9
1982

საქართველოს
საზოგადოებრივი
ტელევიზია



საქართველო





სწავლა შენი პაპულისთვის,
სწავლა შენი ხალხისათვის!



სიმონ შაპრაძის

ნახევრად ტანშიშველები,
ნახევრად ფეხშიშველები —
პირველი პიონერები
ეფიცებოდნენ ლენინს:
— ჩვენ, ნორჩი პროლეტარები,
მებრძოლ მამათა ძენი,
ვართ და ვიქნებით მარადის
უერთგულენი შენი;
შენ გზას გავყვებით ბოლომდე.

შენს დროშას უველგან გავშლით,
უველა დაჩაგრულს იმედად
ამოვუდგებით მხარში.
ახალი ქვეყნის შერცხვლები,
გამოღწეულნი ზამთარს,
შენი დიადი საქმისთვის
თავის გაჩირვად მზად ვართ!.. —

ტან-ფეხშიშველნი, მშვირნი,
გულანთებულნი რწმენით,
პირველი პიონერები
ახე ჰაფიცავდნენ ლენინს.

არ გატეხილა ფოლადზე მტკიცე
პიონერული პირველი ფიცო.

სწავლა—შენი მამულისთვის,
სწავლა—შენი ხალხისათვის.

უველგანა ხარ, სადაც კი
შუშაკი ირჭება,
სადაც მიწა მავჯარლის
ცხელი ოფლით ირწყვება:
ზვარია თუ ბაღია,
სათიბი თუ სამაკალი,
ჩაის პლანტაციას
თუ შენება ახალის...
შენი ვარჯის ნაყოფი
უღერს ლითონის წყარუნშიც.
პირნათელი დადიხარ
სათაყვანო მამულში.



პიონერო ჩვენთა დღეთა —
ოთხმოციან წლების,
ღირსეული მემკვიდრე ხარ
ქველი წინაპრების,
უღალატო იმედო ხარ
მშობლიური მხარის,
მუუთით მშენებელი
მისი დიდი ხვალის.

დღე თენდება შენთვის წიგნით,
ის მიგიძღვის სკოლის გზაზე,
დაგანახა ცის და მიწის
საოცარი სიღამაზე;
შეგაუვარა საოცნებო
მწვერვალები ცოდნისანი;
ეწაფები სიბრძნეს, მაგრამ
წუწურილი ვერ მოიკალი.
სწავლა, სწავლა, ისევ სწავლა, —
ეს ანდერძი გახსოვს მუდამ,
მან შენს გულში სამუდამოდ
შოსი შუქივით დაიბუღა.
მაგრამ სწავლა—არა მხოლოდ
საკუთარი თავისათვის,

აჩუქო ადამიანებს
შვება და სიხარული, —
ეს არის ჩუმი ოცნება
შენი კეთილი გულის.
მარტოხელას და დავრდომილს
ისე, ვით მშობელს, უვლი,
შუქს ჩაუქენებ თვალბეში
დაბეჩაებულს ურვით.

გუავს რამდენი მეგობარი
იქაც, იქაც — შორსაც!
ადგიმართავს უველა ერის
შვილთა ძმობის დროშა,
ხარ მოძულე ომის, მტრობის,
შენ მშვეილობას იცავ.
თუ დესპირდა, ანაცვალდებ
თავს მშობლიურ მიწას.

რა ღამაში ზეიმი გაქვს,
რა ნანატრი დღეა!
სამოც კოცონს დაუფერავს
გავლილი გზა შენი.
ისევ წინ და აღმა გველოს,
იქით, სადაც მზეა,
უფრო მტკიცე შემართებით,
უფრო მტკიცე რწმენით!



შვი ზღვის სანაპიროდან მახლო-ბელი მთებისაკენ თუ გაემართებით, სულ მალე ხეობაში აღმოჩნდებით; ხელმარჯვნივ პატარა, ანკარა მდინარე მიედინება; ცოტას კიდევ თუ აივლოთ, მის სათავესაც დაინახავთ. ლამაზი, თვალწარმტაცი სანახავია იგი — ადგილი, სადაც იბადება მდინარე!

მდინარეს აუყუა ჰქვია, სოფელს კი აუყვისთავი. ერთი პატარა, ჩვეულებრივი სოფელია, მაგრამ საქართ-



აფხაზეთის
კომუნისტური
თავის
სახსრბრძოლა
საქართველო
საბჭოთა
პარტიის
პარტიის
პარტიის
პარტიის



საქართველო
საბჭოთა
პარტიის

საქართველო საბჭოთა პარტიის

ველოს პიონერული ორგანიზაციის მატინისათვის — საკმაოდ ნაკლები და სახელოვანიც! აქაურმა პიონერებმა 1970 წელს — ვ. ა. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილის დროს — ლენინური ბაღი გააშენეს, მერე მოწოდებით მიმართეს სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის თანატოლებს, მათაც მხარი აუბეს და მთელ საქართველოში აშრბდა ლენინური ბაღები.

დღი ოქტომბრის 60 წლისთავის ზეიმის დღეებში ლენინური ბაღის გვერდით აუყვისთაველებმა ოქტომბრის ბაღი გააშენეს და კვლავ მთელ რესპუბლიკას მოეფინა მათი მოწო-

დბა... ასე რომ, ორი კარგი თაოსნობის წამომწყებნი არიან აუყვისთაველი ნორჩი ლენინელები. ერთი მათგანი — პოეტი ამირან ხაბაზი — დღეს აუარის კომკავშირის პრემიის ლაურეატია. 19 შაისს რაიონულ ცენტრში საიუბილეო ზეიმზე იგი წინ წარუძღვება აუყვისთაველ პიონერებს, რომელთაც ხელში ექნებათ ატაცებული მომწე რესპუბლიკების აღმები და სხვადასხვა ენაზე დაწერილი ტრანსპარანტები.

აუყვის სათავეში გაზაფხულის ერთ დილას „მეგობრობის გადაძახილი“ დაიწყო და ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხისკენ მტრედებოვით გაფრინდ-

ნენ მეგობრობის ბარათები. თითოეულ მომწე რესპუბლიკას აუყვისთაველები „მეგობრობის გადაძახილის“ საზეიმო კვირას უძღვნიან. პირველი კვირა უკრაინას ეძღვნება — გოგონებს უკრაინული კაბები ჩაუცვამთ, თმებიც თავისებურად დაუვარცხნიათ, ბიჭები „გოპაკს“ ცეკვნიან, დღი მშესუშობრივი დაუხატავთ ხაბაზების ქედზე მცხოვრებ ყმაწვილებს — მარინეს, ელგუჯას, ჭემალს.

ეს რა ქედიათ, — არ გაიკვიროთ! სოფელში ხაბაზების ქედიც არის, მესხიძეებისაც. აუყვისთავი მთების კალთებზე შეფენილი სოფელია — ერთი სახლი გაღმა გორაზე დგას,



საქართველო
საბჭოთა
პარტიის
კომუნისტური
თავის
სახსრბრძოლა
საქართველო
საბჭოთა
პარტიის
პარტიის
პარტიის

საბჭოთა
პარტიის

5 მაისი 1982

საქართველო
საბჭოთა
პარტიის



მეორე — აქვთ მხარეს, შუაში კი ხეობაა და ანკარა წყარო მიედინება.

ერთი სახლი სულ მალაა, მეორე — ქვემოთ, მესამე — საღალაქ მათ შორის ლამაზი სანახავია.

მთებსა და ქედებს სახელები იქ მცხოვრები ბავშვების გვერების მიხედვით აქვთ მიკუთვნებული; ასე ამბობენ: მესხიძეების ქედში ვიყავი, ხაბაზების ქედი გამოვივარო...

მთავარი კი ის გახლავთ, რომ აქ ყველგან ყოჩალი, თაოსანი, გამრჩე და შრომისმოყვარე ბავშვები ცხოვრობენ — ნამდვილი ლუხინელები, ერთმანეთს რომ მზრუნველობენ და ცდილობენ, ყველამ ძალიან კარგად ისწავლოს.

რამდენიმე წელიწადია, რაც მათ სწავლაში ჩამორჩენილები არა ჰყავთ

— რაზემელი მარჯვენადმხედველი ასოცდაათევი პიონერმა ორ-ორი ფრთა ქათამი გამოზარდა, სახელმწიფო თაივანით მოვლილი გოჭებიც ჩაბარეს — ასე მონაწილეობენ სასურსათო პროგრამის შესრულებაში. სოფლის ცენტრში, მალაზისთან, ბავშვებმა „პიონერული ხეივანი“ გააშენეს; დარგეს კაკლის ხეები, ნაძვები, პალმები, კრიპტომერიები. ასე ენამუშრებიან ისინი საქართველოს პიონერთა რესპუბლიკურ ოპერაციას — „ვაშენებთ „მზიურს“ — პიონერთა ოცნების ქალაქს!“

აუციისთაველი პიონერები ერთსულოვნად გამოეხმურნენ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა თაოსნობას — „ჩვენთან ყველა კარგად სწავლობს! კომუ-

აპავესთავის საკონს ინტაგლარის პიონერებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უპილავთან მტკიცე მამოგრობა ააპავესთავის.

ფიზიკის წრის უთავი ახალი მამად: ნათა ხალისითა და ინტაგლარით მიხდი ნათობს.

ჩაინი უფროსი პიონერბლმძმანელი ნანი ჯაფარიძე, საპარტეზლოს ალკა XXXII პრილობის დამუშავი, ალახან დარბადა საკლავში და გავიზიარა თავისი უთაგადილავაი.



ნიტებს ვუსწორებთ მხარს! ხაბაზების ქედი მესხიძეებისას ეჯობრება, ორივე ერთად კი — ჯაფარიძეებისას!

წლევანდელ ზამთარში, დიდთოვლობისას, რამდენ ადგილას ჩაიხერება გზა, რამდენი მოხუცი შეწუხდა — ეზოში როგორა გავაო, ცეცხლს როგორ დავანთებო!.. მაგრამ დილაადრიან, თითქოს უხილავმა ძალამ წამოაყენაო, ფეხზე დადგნენ იქაური პიონერები — ეკლავდნენ გზას, თოვლის საფარისაგან ასუფთავებდნენ სახურავებს, ბერტყავდნენ ციბრუსებს და ყველა მოხუცის ბინაში

ფოტო მ. ცაბარაძისა



აავიზიზეს ღუმელი თუ ბუხარი, მა-
ლაზიდან /ახალი პური მოიტანეს,
სახელიო შეშაც დაჩნეს. დიხ, ასე
ხატონად და შესანიშნავად ისხამს
ფრთებს პიონერული დევიზი —
„აჩუქე აღამიანებს სიხარული!“

რაზემელში ას ოცდაათი ასეთი
გულთბილი, ყოჩალი ყმაწვილია. შე-
უძლებელია სახელითა და გვარით
მათი გამოყოფა — ყველა კარგია,
ყველა მოწინავე! და მინაც ერთმა
ამბავმა უფლება მომცა, ხუთი გო-
ვონა სახელითა და გვარით გვაცუ-
ნოთ; ისინი სოფლის გზაზე ერთად
მიმავალი ვნახე, ფირზე ჩაიწერე
მათი პატარა ნაამბობი და რადიოგა-
ზეთ „საქართველოს პიონერის“ სა-
შუალებით მთელ საქართველოს მო-
უფინა მარინე ხაბაზის, გულთამზე
ხინიკაძის, თამრიკო, შიზა მესხიძე-
ბისა და მარინე ხახუტაშვილის ხმა —
60 დამკვრელურ კვირაში პიონე-
რულ წვილზე, საბჭოთა კავშირის
შეშენის 60 წლისთავისათვის სამზა-
დისზე საუბრობდნენ ყმაწვილები.

ყველა ამ კარგ საქმეში კი მათ წინ
მიუძღვის უფროსი მეგობარი
პიონერბელმძღვანელი ნანი ჯაფარი-
ძე. ნანომ აუყვისთავის საშუალო სკო-
ლა დაამთავრა. იგი იმ თაობის პიო-
ნერია, რომელმაც 12 წლის წინათ
ლენინური ბაღი გააშენა გორმადი-
ლას ფერდობზე. აუყვოსთაველ პიო-
ნერებს ეამაყებათ, რომ მათი წინა-
მძღოლი საქართველოს კომკავშირის
32-ე ყრილობის დელეგატი იყო.

ყრილობიდან დაბრუნებულმა ნა-
ნი ხელმძღვანელმა ბევრი სინტერეს-
სო რამ უამბო პიონერებს. მათ ერ-
თად დასახეს სამომავლო გეგმები,
რომელითა ფრთაშესხმა კიდევ უფრო
სინტერესოსა და მრავალფეროვანს
გახდის პიონერული რაზმების საქ-
მიანობას.

19 მაისს, შებინდებისას, აუყვის-
თავის ვაღმა-ვაგომლა გორებსა და
ფერდობებზე 60 პიონერული კოცონ-
ნი ავიზიზდება — აქაურ ნორჩებს
ექვსი ათწლეულის სხვადასხვა თაო-
ბის პიონერები ესტუმრებიან.

გურამ ბახტაძე



სახანოთა კავშირის შვიდგანი 2. მანთარია და 2. ემორევი წალენჯიხელ
პიონერბატონს. 1961 წ.

1923 წლის 19 მაისს შეიქმნა პიო-
ნერული ორგანიზაცია.

1924 წლის 29 იანვარს პიონერთა
ორგანიზაციას 3. ო. ლენინის სახელი
მიენიდა.

1929 წლის 11 აპრილს მოსკოვში
პიონერ პიონერთა პირველი საავსო-
რო შეიქმნა.

1931 წლის 29 ნოემბერს თბილისში
ჩატარდა პიონერთა პირველი რეს-
პუბლიკური შეიქმნა.

1940 წლის იანვარში პიონერთა სა-
პარტველს პიონერთა 11 რესპუ-
ბლიკური შეიქმნა.

1947 წლის 29 ივნისს პიონერ ბიბესსა
საპარტველს პიონერთა 111 რესპუ-
ბლიკური შეიქმნა.

1954 წლის ივლისში თბილისსა და
გორში პიონერთა მუშაობისა და შე-
გორბრუნისადმი მიძღვნილი პიონერთა
14 რესპუბლიკური შეიქმნა.

1958 წლის 25 თებერვარს ბიბესსა
პიონერთა 1 რესპუბლიკური შეიქმნა



პიონერ-მოსწავლეთა სამხადრო-შეიქმნებურული შეიქმნა. თბილისის
სტალინის რაიონის მუხათესამოქმნი „სინტერესი“ პირველ რესპუბლიკურ
უნიონს „დაბრინს“. 1961 წ.

როგორ ჩაენიჭა

მატარაი
ელვარე ამოგაბაძე

ყველაზე
მეიშვე
წლავი

იზანდო, მეზანე ჩეჯილო!

ისტორიის მასწავლებელს საკლასო ოთახში ფეხად შეეასწარი. მერბთან რომ მივედი, ჩვენი პატივცემული მასწავლებელი ვლადიმერ მუშუქუდიანი უკვე ზღურძობზე იდგა. ხელში საკლასო ეჟრნალი ეკავი. მოგვესალმა და მავიღისაკენ დინჯად წამოვიდა. ახალგაზრდა კაცი გახლდათ, მივლ სკოლას უყვარდა. სკოლა კი ჩინებული გვეონდა, მას სიბრველ საცდელ-სანიმუშოს ეძახდნენ.

როგორც კი დავეჭვი, რეზომ იდაყვი გამკრა.

— მამამ ორი ბილეთი მომიტანა. დღეს „ჩაპაევზე“ მივდივართ მე და შენ.

შეხებულ და გაოცებისაგან პირი დავაღეთ.

— მართლა?!

— ჰო, აგერ მაქვს, ნახე.

ეს ის დრო იყო, „ჩაპაევი“ პირველად რომ გამოვიდა ეკრანზე. კინოთეატრების საღაროებთან ისეთი ამბავი იყო, სისხამზე რომ დამდგარიყავი რიგში, საღამოს ჰა და ჰა, თუ მოგონებდა ბილეთი.

სიხარულისაგან აეცქმურტი.

მასწავლებელმა მწყურალად გამოხედა. მაშინვე გავისუსტე. ვლადიმერ მუშუქუდიანს შენიშვნის მოცემა არ უყვარდა, ერთს შემოგებდავდა და ყველაფერი ნათქვამი იყო.

— რა გვექონდა გაცეითილად? — იცითხა.

— მეორე პუნქტური ომი, — დაიძახა გვიი მეფისაშვილმა. ის სულ პირველ მერხზე იჯდა.

— მეორე პუნქტური ომი... — გაიმეორა მასწავლებელმა და ოთახში გაიარა. — აბა, ვინ მოყვება?

— თითო თითქმის ყველამ აიწია. მა-

სწავლებელმა თვალი მოგავლო. ბოლოს რეზის შეხედა.

— აბა, რეზო ჩხეიძეს მოვესმინობო.

რეზო ეცქირად წამოხტა.

— რაც რომ კართაგენი დაარსდა, რომაელებს ძილი დაუფრთხათ. იმდროინდელ მსოფლიოში სხვა უფრო ძლიერი ძალა, ასე მტკიცედ რომ დაპირისპირებოდა რომს, არ არსებობდა.

მასწავლებელი ნელა წამოვიდა ჩვენი მერხისაკენ და გვერდით დადგა. ყურადღებით უსმენდა. მერე, როცა რეზომ რომი და კართაგენს სამეკდრო-სასიცოცხლოდ მეორედ გადაჰკიდა ერთმანეთს, ანიშნა, გეყოფათო. შებრუნდა და მარჯვენა ხელი ოთარ შვიანიძეს უგაზა მხარზე.

— აბა, ახლა შენ გააგრძელე!

ოთარმა დალაგებულად ჩააწიქვია. მუშუქუდიანმა შემდეგი სიტყვა შედგა დევედარიანს მისცა, მერე გვიი შარიჩქმეს და ოთარ ტრაპაიძეს გაავარძელებინა. ბოლოს დროებითი ზავი რომსა და კართაგენს შორის სიმონ ფიჩხაქმე ჩამოავდო.

შესვებნაზე კარლო გეგელაშვილმა შემაჩერა დერეფანში. კარლო მეშვიდეკლასელი იყო. სასკოლო კედლის გახვდის რედაქტორობდა. მე მეხუთე კლასში ვსწავლობდი.

— რაულ, ზაფხული სად გაატარებ? — შეითხა კარლომ.

— სოფელში-მეთქი, — მივეუბე.

კარგად მახსოვს, იმ დღეს თერამეტი სექტემბერი იყო. ახალი სასწავლო წელი სამი დღის დაწყებული

გახლდათ. მაშინ სწავლა თხუთმეტ სექტემბერს იწყებოდა.

— ჰოო, სოფელი კარგია. ალბათ შთაბეჭდილებაც დიდი გექნება. ბოლი, კედლის გახვდისათვის ლექსი დაგვიწერე.

გავისუსტე. ლექსებს მესამე კლასიდან ვწერდი. ერთი-ორჯერ პატარა მოთხრობებსაც ვაუწინიჩე კბილი. ეს სკოლაში მხოლოდ რამდენიმემ იცოლა, მათ შორის კარლომაც. გამომზებურებას ვერ ვებდავდი, ახლა კი წინადადება მაქვსუნებული იყო.

— ვცდი, იქნებ გამოვიდეს, — ვუთხარი.


— სცადე. მე შენი ლექსები მომწონს.

გაკვეთილების შემდეგ ქუჩაში რომ გამოვედი, რეზოს ვუთხარი, კარლომ ლექსი შემეიკვეთა-მეთქი.

— ჰოდა, უნდა დაწერო, — მიჩრია მან.

რეზო და მე ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით. ჩვენი სახლები ხენილის ბაღში იდგა. გაკვეთილებს მოგვამზადებდით თუ არა, მივლ დროს ბაღში ვატარებდით. საღამოს კი კინოში ვაგებოდი. კინო ყველს ავგრზე უფრო გვიყვარდა. ახალი სურათი იშვითად აღწყვდა ჩვენ ქალაქამდე და ერთსა და იმავე სურათის რამდენჯერმე ვუყურებდით.

კვირაობით, როცა ცხელიდა, მდინარეს მივამურებდით ხოლმე. მდინარე თო ნაწილად ყოფდა ქალაქს. ერთი ხოდის ახლოს ყაზარმები იდგა. ყაზარმების წინ კი მდინარეს განიერი სილის ზოლი გასდევდა. კვირაობით ყაზარმიდან ახალგაზრდა ვა-



რისკაცებს უბელო ცხენები გამოჰყავდათ, მორეკენენ მდინარესთან, შეგველვებდნენ შგ. შემდეგ ნაიარზე გამოიყვებოდნენ, ჩამოქვეითდებოდნენ და სავალდავულო ხეხავდნენ სამურველებით. ეს საქმე იმით მოგზაურული ჰქონდათ, ჩვენ კი ვეზბაოვებოდნენ. ამიტომ ყოველკვირა დღეს რიყზე ჩამოქვდავნი მოუთმენლად ველოდით ცხენების გამოჩენას. სილიანზე მტვერი რომ ავარდებოდა, ყუინას ავტეხდით და წითელარმიელების შესახვედრად გავრბოდით.

ყველა თავისი ცხენი ჰყავდა. მე ერთი უზბეკი მიძლევა ხოლმე თავის ცხენს. უზბეკს ბახრანი ერქვა, ცხენს კი — მარია. მარია მალე შემეჩვია. კარვალ რომ ვებანავებდი, ზურგზე მოვევლებოდი და სილიანზე დავაჩირთებდი.

სოფელზე ლექსი მართლაც დაფწერი. სანამ კარლოს მივართმევდი, ვიწრო წრეში წაივითებ. რეზომ თქვა: არა უშავს; გვიც მეფისაშვილმა თავი დამეჩინა, დამარჯვია; ტრაპიძემ ბუჭე ხელი მომითათუნა, მაგარი ლექსი შეგიფხავს; შავიანიძემ კი გაიციანა — ყელის გახვეთმი ჰო. მაგრამ ერთბაშად რომ გამოსცემ, იქ არ შეიტანოთ; კარლო გეგულაშვილმა რომ წაიციონა, მეგობრულად გამაბნევენა — კარგიაო.

ყელის გახვითის ახალი ნომერი რომ გამოაკრეს, მეორე სართულზე ავვარდი. ჩემი ლექსი შუა სვეტში მოუთავსებინათ. რედაქტორის ხელიც გვარბიანად ეტყობოდა, ისე კარვალ გაერანდა, რომ მომეწონა.

იმ დღეს დიდ შესვენებაზე კლასში უფროსი პიონერხელმძღვანელი ეთერ მეძველია შემოვიდა. ალბომისათვის ზაფხულის შობაველილებები მოვითხოვა. უეცრად რეზო ჩვენი წამოღდა, უფროს პიონერხელმძღვანელს შეხვდა და ხმადაბლა თქვა:

თუ შეიძლება, ჩავატაროთ რაზმის შეკრება თემაზე: „სამოქალაქო ომის გმირები — ჩვენი იდეალი“.

ეთერ ხელმძღვანელმა გაიღიმა.

— შენ ალბათ „ჩაბავეი“ ნახე, არა?

— ჰო.

კიდევ ვინ ნახა „ჩაბავეი“?

თითქმის ნახევარი კლასი ადგა ფეხზე.

დანარჩენებს არ ვინახავთ? არა, ბილუთები ვერ ვიშოვეთ, დიახაზე გავო-ბიქვებმა.

პიონერხელმძღვანელი დაფიქრდა. დირექტორს მოველაპარაკე: იქნებ ვავტაროთ რაზე და ცინოსურათს კოლექტიურად დავესწროთ. მერე კი რაზმის შეკრება ჩავატაროთ, სამოქალაქო ომის გმირებზე ვისაუბროთ.

სკოლის დირექტორი თამარ დუხუნდარიძე გეოგრაფიას გვასწავლიდა. მისი გაცეთილი ყოველთვის გეოგრაფიის კაბინეტში ტარდებოდა. ყელზე რუკები ეკიდა, მაგიდაზე კალმით იდგა.

ჰოდა, გეოგრაფიის გაკეთილზე პატივცემულმა თამარმა მოულოდნელად გვკითხა:

- მაშ „ჩაბავეის“ ნახვა გინდათ?
- დიახ, პატივცემულო მასწავლებელი!
- კეთილი, მეც წამოხდა, ბილუთებს ვიშოვი.

შესამე დღეს „ჩაბავეი“ კოლექტიურად ვნახეთ. ცინოს შემდეგ ქუჩაში რომ გამოვდივით, ეთერ მეძველიამ რეზო ჩხვიძეს უთხრა:

— ზეგ ჩავტაროთ რაზმის შეკრება თემაზე „ჩვენი იდეალი — სამოქალაქო ომის გმირები“. მომხსენებელი შენ იქნები.

მართლაც, ორი დღის შემდეგ რაზმის მორიგ შეკრებაზე, ბევრი ვისაუბრებთ ლეგენდარულ ჩაბავეზე, პარხომენსეზე, კიკვიძეზე და კიდევ სხვებზე.

სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, რეზომ მითხრა:

— გულში ჩვენსას ბიძაჩემი იყო, თბილისიდან.

მერე?

ჩვენც თბილისში გადავდივართ მთელი ოჯახი.

გული შემეკუმშა.

ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. აი, ეს ნიშანი მინდა გაჩუქო, — რეზომ პატარა სამყარო ნიშანი მომცა. ოქროსფერი წრეში გემის მტურავალი იყო გამოსახული.

მალე რეზო საცხოვრებლად თბი-

ლისში გადავიდა. მთელმა კლასმა გააცილა.

გავიდა ცოტა დროც, მაგრამ მტრის შემოსევა გეაუწყა. კვირა დღეს ბიჭები ჩოროს პირად რომ ჩავედით და ჩვენს წითელარმიელებს დაველოდეთ, საოცარი რამ მოხდა. ჭარხაკები კი მოვიდნენ, მაგრამ ცინესებ ალარ ვგვყარეს — ახალსხვა დროაო. თეთიონ დაბანეს ცხენები, ჩვენს თვალწინ სილიანზე გაატარა-გამოატარეს, მერე ზურგზე მოვევლნენ და წაივინდნენ...

ახალი სასწავლო წელი რომ დაიწყო, სკოლაში მორბენ ანბანის შემსწავლელი წრე შეექმნით. მთელი რაზმი ჩავეწერეთ. გაკეთილების შემდეგ ფიზიკის კაბინეტში ერთი საათით ვრჩებოდით.

ერთ დღეს დირექტორმა გამოგვიცხადა: სკოლის შენობა სასწრაფოდ უნდა დავცალოთ, აქ ლაზარეთი იქნება, ჩვენ კი სხვა შენობაში გადავალთო.

სამხედრო მანქანები რომ მოვიდნენ, მერხები და მაგიდები უყვე ქუჩაში გამოგვეკონდა. ჭარხაკები ჩვენს ბარჯს ფრთხილად ალაგებდნენ მანქანებზე და ახალ მისამართზე მიჰქონდათ. ვილცამ იკითხა, პიანინოს რა უკუთვით? დირექტორმა თვალის გადაგვაკლო და ხმადაბლა თქვა: — დავტოვოთ. დაჭირე ჭარხაკებს უფრო დასკირდებათ.

კოხტა, შავი პიანინო პიონერთათობაში გვედგა. ოთახი კი არა, უშეკრებელი დარბაზი იყო. ჩვენი ნორჩი მუსიკოსები იქ ხშირად კონცერტებს მართავდნენ.

სკოლის ახალი შენობა ცოტა შორს იყო.

ერთ შაბათს, ბოლო გაკვეთილზე, გამოგვიცხადეს, ხვალ ყველანი ასკოლის შესასრულებლად მივდივართო. უფროსი პიონერხელმძღვანელი გველაპარაკა ასკოლის სასიყეთო მვისებებზე. თქვა, რომ დაჭირე ჭარხაკებს ასკოლის ნაყენი ძლიერი ესპორტოვბათო. მეორე დღეს სკოლის წინ მთელი რაზმული შეკრება. თავში ეთერ მეძველია ჩავკვივდა და წყალწითელას მიდამოებს მივამსურეთ. მოგვცათ ლენა, ასკილი ბლომად იყო. ჩამავებული მაყ-

ელის ბუჩქებიც მოჰყენოდა იჭაურობას. ჩვენ ერთსაც ვკრფდით და მეორესაც, მერე, როცა შუაღამე გადავიდა, სამხედრო მანქანა მოგვადგა. მანქანაში მძღოლის გვერდით მეთაური იჯდა: ახალგაზრდა კაცი იყო, ქერა, ცისფერთვალება, მხიარული, სულ იღიმებოდა. კაბინიდან სწრაფად გადმოხტა, ჩვენს წინ გამოიჭიმა და მხედრულად მოგვესალმა. ასეილი იმ კაცს ჩავაბარეთ, მაველითაც გაუქმასწინძვლით და ქალაქისაკენ გამოვსწვიეთ.

გადიოდა დრო მტერი ჩვენს ქა-

ლაქამდე არ მოსულა. მაგრამ ყველაფრით ვგრძნობდით, რომ ფრონტი ახლოს იყო, ძალიან ახლოს. ეს ყველაზე უფრო მაშინ ვიგრძენით, როცა მახლობელ სოფელში წაგვიყვანეს და მთელი დღე ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს ვთხრიდით. სამხედრო აეროპორტიდან ჩვენს თვალწინ ფრინდებოდნენ საჰაერო ესკადრილიები და დავალებათა შესასრულებლად ეშურებოდნენ.

ერთ დღეს, შესვენების წინ, საკლასო ოთახში პატივცემული თამარ დახუნდარიძე შემოვიდა.

ერთ საქმეზე უნდა მოგვინებოდა რაეთ, — ვითხრობდა მან. საქმეზე ელის პიონერებმა გადაწყვიტეს, ალექსიანი დანაზოგი თანსწავლებელს ტანკი კოლონა „საქართველოს ნორჩი პიონერი“. თქვენ რა ზარისა ხართ ამაზე? გინდათ, თქვენც გვერდით ამოუდგეთ თანატოლებს?

— რასაკვირველია, მასწავლებელს შევაგვოვით! — შევცახეთ ერთნაშად.

პიონერული სატანკო კოლონიისთვის ყველა ჩვენგანმა გაიღო თავისი წველი შესაძლებლობის მიხედვით.

ერთხელაც, ჩვენი კლასი ლაზარეთის სტუმრა. რამდენიმე უფროსკლასელიც გვერია, მათ შორის მუსიკოსებიც. წინაარში შევედით თუ არა, მაშინვე წამლების მძაფრი სუნი გვეცა. განიერ დერეფანში, სადაც ადრე შესვენებაზე ბავშვები დაკრბოდით ხოლმე, რკინის საწოლები იდგა, ზედ დაჭრილი ჭარისკაცები იწვნენ, ან ისხდნენ, ზოგი დაღლილი კიდევ. ჩვენმა ვამყობმა ექიმმა აგვისსა, ეცენი მსუბუქად დაჭრილები არიან, ვისაც მძიმე ჭრილობები აქვს. პალატებში წვანანი.

ფრთხილად, მოკრძალებით გავიარეთ დაჭრილ ჭარისკაცთა შორის. ისინი კეთილად გაიღიმოდნენ, გვესალმებოდნენ.


— აბა, ბავშვებო, ახლა ასე მოვიქცეთ, განაწილდით, თითო პალატაში — ორი-სამი. დაჭრილებს წინა წაუკითხეთ; ზოგს წერილის მიწერა უნდა შინ და წერა კი არ შეუძლია. წერილიც დაუწერეთ და გააგზავნეთ კიდევ საქმე ბებრია. პალატაში რომ შეხვალთ, დაჭრილებს თითონ ვეტყვიან, რაც სჭირდებათ, — ვითხრობა ექიმმა.

მე, გვი მეფისაშვილი და ოთარ შავიანიძე ერთ პალატაში აღმოვჩნდით.

პალატისკენ სანიტარი ქალი გავვიძღვა. კართან დადგა და თქვა:

— აი, თქვენთან სტუმრები მოვიდნენ — პიონერები. უნდათ რამდენიმე საათი თქვენთან დაჰყონ. ვისაც წერა არ შეგიძლიათ, წერილი დააწერინეთ, თუ არადა წიგნებს წაგიკითხავენ, ერთი სიტყვით, პიონ-





ჩერებს ვინუზრახავთ, იმეგობროს ჩვენს პოსტიკატთან.

პალატაში რომ შევედით, რცინის საწოლში აპირალდა. შემოგვაჩერდა გახანჯული სახეები... მერე ერთმა თაბაშირში ჩასმული ხელი ასწია. თავის აწევა ვეღარ შეძლო და ნაღვლიანად წარმოთქვა:

— აბა, ნაბიძო, რომელია ჩემი ბიჭი? მოდი, წერილი დავწეროთ, ჩემს დღეცოს ვავუჯავზნოთ. იქნებ ცოცხალიც აღარ ვგონივარ.

— ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეს. მერე ოთარ შავინიძემ გვიც მეფისაშვილს წინ შეუბღა წაჭრა ხელი და გვიც წინ წვიდა. კიდევ ვილაყი კუთხიდან დაგვიძახა, და მასთან შავინიძე გაჩნდა. მე მივიძღე დაჭრილ უბეჭთან აღმოვჩნდი.

ქალღმერთ გავმალე და ფანჯარი მოვიმარჯვე.

— სამარჯანდის ოღჯი... — ჩურჩულით, ძლივს თქვა დაჭრილმა.

ხუთი წერილი ჩაეაწიწვიც. საოტრად ჰგავდნენ ერთმანეთს, თითქმის ერთმანეთის ასლი გახლდათ. ის იყო, მევექვეად მოვიმარჯვე ფანჯარი, რომ ერთბაშად მუსიკის ხმა შემომესმა. ვილაყ უკრავდა პიანინოზე, დაჭრილი ჯარისკაცი გაირინდა. მეც ვეზოში შემამოცადა ფანჯარი. ვილაყ უკრავდა სევდიან, ნაღვლით სავსე მელოდისა.

ჩემად აღდექი და კარისკენ წავედი. გავედი დერეფანში, იქიდან ასევე უხმალოდღე პიანეტრთა ოთახს კარს მივადექი. ჩვენს შავ პიანინოსთან მერვეველსავე მერი დაეთანაშვილი იჯდა. სქელი ნაწნავი ზურგზე ჰქონდა გადადებული და სკამამდე უწევდა, ოღანვე წინ გადახრილიყო, უკრავდა...

მთელი პალატა გასუდრულოყო, ჯარისკაცები, ვისაც კი შეეძლო. მერისკენ იყურებოდნენ. მერი კი უკრავდა და უკრავდა.

მერე პალატას სხვებიც მოადგნენ, ვისაც სიარული შეეძლო, მოვიდა. პალატამ რომ ვერ დაიტია, კართან დადგნენ და ისე ისმენდნენ.

უკან წამოსვლისას ჩვენთან პოსტიკატის უფროსი მოვიდა, მაღალ გამბლარი კაცი, უძლიო თვალდებით, დაღლილი სახით, თავზე დაფენილი

ქალბრით. მაღლობა გადაგვიხადა და გვთხოვა ხშირად ვსტუმრებოდით. ჩვენ პირობა მივეცი. მართლაც, პირი არ შეგვიცხვებინა. ყოველ მოსვლაზე გვხვდებოდა ძველი პრიზინა საწოლები და სულ ახალი და ახალი ადამიანები. ძველები იყურებოდნენ და ცქცვე ფრონტზე მიდიოდნენ.

ერთ დღეს, სანამ გაეკეთილი დაიწყებოდა, საკლასო ოთახში სკოლის დირექტორი შემოვიდა. სახე უბრალოდ, მაშინვე მივხვდი, კარგი ამბავი რომ დედნა ეთქვა.

— ბავშვებო, საქართველოს პიანეტრთა ფულით აშენებული სატანეო კოლნა უკვე ფრონტის ქაზნეა!..

ისეთი ტაშში დავცხეთ, ჰუბრალოდ გოცებულ მგზავრები ჩერდებოდნენ და ფანჯრებში იჭრებოდნენ. გეზაროდა, რომ ჩვენნი დანაშაღი თანხით აშენებული ტანეები ცეცხლის ხაზზე მტერს მუსრს ავღებდნენ.

ჩვენს ეზოში ორი სახლი იდგა. ერთში ბავაჯტ ჯახუანა და მამაჩემის ოჯახი ცხოვრობდა, მეორეში კი — ქვერივი ქალი, თუო. თია ბავაჯტს ოთხი შვილი ჰყავდა, მამაჩემი — სემი, ხოლო თუო დეიდას — ერთადერთი ქალიშვილი — ცავე მუჰარაშვილი, რომელიც მაშინ სავრანეო ქაზნის დირექტორად მუშაობდა (სხვათა შორის, იგი დღესაც ამ ქაზნის დირექტორია).

არდადეგები რომ დაიწყე, ეზოს ბიჭები, ვალერი და ლევან ჯახუები და მე თითქმის მთელ დროს ეზოში ვატარებდი. შუა ეზოში დიდი თავესადავი იყო გათხრილი, რომელიც სავრანეო შესასვლელი ჰქონდა. როცა მავრად დაცხებოდა, ამ ვიწრო ხვრელში თხუნელასავით შეეყვებოდნენ და თამაშს მიწის ქვეშ ვატარებდით.

ერთხელ, მიწაში ჩასაძრომად რომ ავეშურებოდით, ცავემ დაგვიძახა აივნისადა. ახლოს რომ მივედით, ცოტა გამწყრალად შემოგვხედა, მისგან სიკეთის მტეტი არაფერი გვახსოვდა და ახლა რომ სხვანაირი თვალთა შემოგვხედა, გავოცდით.

— ბიჭებო, — გვეთხრა და ილაყვებით აივნის მოაჯირს დაეყრდნო, — ნუთუ ვერა ხედავთ, რა ხდება თქვენს ირგვლივ? კაცები ომში არ-

ინ, თქვენ რა, ნაკლები ვეცადებთ ხართ? თოფის გასროლა უნდა მუშაობა ხომ მაინც შეგიძლიათ? წამოდი ჩემთან, ქარხანაში, სათქვენო საქმე ბერია... ქვეყნის მართო ყუ-მბარები კი არა, აბრეშუმიც სჭირდება. ხალხი არა გყოფნის, ოქროსავით პარკი ფუჭდება. ჰა, რას იტყვი?

მე ვალერის გადავხედე, ვალერიმ კიდევ მე შემომხედა. მეტი აღარ გვიფიქრა. მაშინვე თანხმობა ვუთხარი.

— მარტო თქვენ ვერ მოერევილ საქმეს, სხვებიც მოიყვანეთ. ხვალვე მოდი, დღეს კი მეგობრებს ჩამოვარეთ და დღითანხმეთ. ხვალ დილიდან გელოდებით. მუშაობას რვა საათზე ვიწყებთ.


სამივენი მოხალისე მუშების შესავრთვლად გავქანდით. მე პირველად ოთარ შავინიძესთან მივედი. ოთარი და მისი თანაშემწე ბიჭები ეზოში ლახტს მამულობდნენ. გამოვიხმე და საქმის ვითარება ავუხსენე. მაშინვე დამთანხმდა, ლახტის თამაშს თავი ანება და გვიც მეფისაშვილთან წამოგვყავა. არც გვიცს და თანხმება გადავიკრებოდა და არც ოთარ ტრამპისადა, მავრად მამია მორჩაქეს რომ მივაკითხეთ, საქმე სხვანაირად წარიმართა. მამია ჩვენს კლასში ფიზიკურად ყველაზე ძლიერი გახლდა. თუ ვისმე ხელს ჩაუვებდა, გიყვარდეს, ის ბიჭი მეორედ სი-ახლოვეს არ გაეკარებოდა. ჩვენ ჯერ კარგად ისიც კი არ ვიცოდით, რა უნდა გავეცეთ ოთარს ქარხანაში. იმასაც ვფიქრობდით, ერთიც ვნახოთ, გავიჭირდეს! მერე უყარე კაკალი... ამიტომ ყველაზე უფრო მამიას იმედი გვექონდა. მივედით და... მამიამ თავზე ცივი წყალი გადაგვხსნა. მისვლის მიზეზი რომ ვუთხარით, ერთი მავრად ვაფხორდა და საეუბრო ლომი-ლით ავგებდა-დავგებდა.

— ესე იგი, ორო და ბალადი უნდა დავალავოთ ყუთებში, არა? — თქვა და დღიანი შემოვიწყო.

ჩვენ გავიჭირდით შევხედით.

— ორო და ბალადი რაღა? — კითხებ.

— სამუშაოდ სავრანეო ქარხანაში მიდისარ და ისიც კი არ იციო.



ოქროსფერ პარკს მუცელს მუცელ
იატაჟე ცლიდნენ. გვეჯი ჩახსნიან
ერი ქალი იდგა. პარკს არჩევდნენ და
აღლ ყუთებში ალაგვდნენ.

ცაგუ მუშებს მიუბრუნდა:
— აბა, ერთ-ერთი გაიქცეთ, შო-
თა მომიყვანეთ.

ერთი შედარებით ახალგაზრდა
მუშა კოკლობით გაიქცა. დანარჩენ-
ებმა თავიანთი საქმე გააგრძელეს.

შოთა მალე გამოჩნდა. ერთი
აწოწოლიყავებული, კორფლიანი
ახალგაზრდა იყო. შუბლზე ღრმა ნა-
ჭრილობები აჩნდა.

— შოთა, ეს ბიჭები შენს ბრიგა-
დაში იქნებიან. ხომ ხელავ, ნამდვილი
ლომები არიან. ასწავლე დახა-
რისხება და ყველაფერი, რაც უნდა
აქეთონ. გამოვაღებოან. — უთხრა
ცაგუმ და წაიდა.

შოთამ აგვათავლიერ-ჩავათავალი-
ერა. მერე ხელები გაშალა, გული-
ანდ შემოველიმა და გვითხრა:

— კეთილი, ბიჭებო! აბა ასე გა-
ვაცეთოთ, შვიდნი დახარისხებაზე
იმუშავეთ, მერევე კი ყუთებს მოი-
ტანს.

— ერთი კაცი ყუთების მოტანას
აუვა? — ეპვი გამოთქვა გვიცი.

— აუვა, — მოჰრა შოთამ. — აი,
ყუთს ასე დადებთ იატაჟე, შემ-
დედ პარკს აიღებთ, მხოლოდ ერთი
ჭინოსა უნდა იყოს. აი, მაგალითად,
ეს მსხვილი, თეთრი პარკი ზღადა-
ლია. — შოთამ რამდენიმე ცალი თე-
თრი პარკი აიღო, დავანახვა და ის-
ენე ააყრა. — ეს ოქროსფერი კი
ორია. არამც და არამც ერთმანეთში
არ უნდა აურიოთ. გასაგებია?

— გასაგებია, — თქვა შვიანძრემ.
— აბა, საქმეს შეუდგეთ. პარკს
გრენავი თუ დროზე არ გაუყუთდა,
მერე ეპეველა გამოვა და მოგვამა ჭი-
რი, კაბედა აღარ ვარგა.

ოთარ ტრაპაიძემ სურვილი გამო-
თქვა, ყუთებით მომარაგებაზე ემუშა-
ვა. ჩვენ კიდევ პარკის დახარისხებას
შეუდგეთ. ისე ბეჭითად ემუშაობ-
დით, შესვენებამდე თავიც არ აგვი-
წევია. მერე, როცა ქარხნის საყვრი
დავაგუზუნეს, თავიც ააწინეთ და სუ-
ლიც მოვიტყით. საამქროებიდან
ნელ-ნელა გამოლაგდნენ მუშები, ძი-
რითადად ქალები და ნაფორნტალი

რა არის ორო და ბალდადი. პარკია,
ხომ არ გგონიათ, პარკი ყველა ერთი
ფერისა და ხარისხისაა. არა, საქმა-
მიმუშავნია მაგ ქარხანაში, ეგ ქა-
ლების საქმეა, კაცებისა კი არა. შე
ჩემმა სიმემ სხვა ქარხანაში წამიყ-
ვანა. ახლოს მოიწიეთ, — მაიმამ ხე-
ლები მოგვხვია და ყურთან გვიჩუ-
რჩულა: — სამხედრო ქარხანაა, ბო-
მბებს ვაკეთებთ. აი, ეს ნამდვილი
კაცური საქმეა. ბრაზი რომ მოგვე-
რევა, ხანდახან ბომბს წარწერებსაც
ვუკეთებთ. «სიკვდილი ფაშისტებს!»
«მტერი განადგურებული იქნება.»
და კიდევ ათას რამეს ვაწერთ. მე
იქიდან ფეხისმომცვლელი არა ვარ.

ოტა არ იყოს, გუნება შეგვეცვა-
ლა, მაგრამ გვიმ თქვა:

— რა მოხდა მერე, მაიმამ ბომბები
აკეთოს, ჩვენ კიდევ საპარაშუტე
ქსოვილს მოვაშაზდებთ. ესეც ხომ
საქმეა!

— საქმეა, აბა რა! — მიოგო ტრა-
პაიძემ.

საგრენავო ქარხნის შესასვლელთან
შეგხვედროდით ერთმანეთს.

მეორე დღით ქარხნის ჭოშკარს
რომ მივადექით, იქ ერთი მოხუცი
იდგა. ვისაც სპეციალური საშუები
არ ჰქონდა, შიგ არ უშვებდა, არც
ჩვენ გაგვიყარა ახლოს. ამასობაში
ცაგუმ გამოჩნდა. ჭოშკართან მოდგა
და ჭიუტ მოხუცს ტკბილად უთხრა:
— გიორგი ბიძია, ეს ვაყაყები
გამოატარე, მე დავიბარე.

— კი, ბატონო, ახლავე, — ჩაიჩი-
ფიჯია ბერიაკამა და როგორც იყო
კარი გავიღო.

— ყველანი ხართ? — მკითხა შე-
სლისთანავე ცაგუმ.

— ჰო, ვინც მოვიხვლეთ, მოვი-
ყვანეთ.

— აბა, მომეყვით.
გავიარეთ ცაცხეების პატარა ხეი-
ვანი. გვერდი ავუარეთ აღმინისტ-
რაციულ კორპუსს და უკან უნოში
გავედით. პირველ საამქროსთან აბ-
რეშუმის პარკით დაძვეილი ორი
მანქანა იდგა. მუშები თეთრსა და

დავიწყდა კვლავ უკანასკნელს - „მზადა პარ!“

აკცები. ზოგი ხეივანში ჩაპოჯდა, ზოგი იქვე, ჭვავზე ან ხის ყუთზე და ყველაზე შინიდან წამოღებულ საკმელს შეეძქენენ.

ცაგუმ სწორედ რომ დროზე ჩამოგვიარა — დაღლილები და მშვირვები ძლივს ვიდევქით ფხვხუ. პური და ყველი მოგვარწოდა და მუხლში კვლავ ჩაივდიდა ძალა.

პური რომ გავტეხეთ, ოთარ ტრაპაიძემ შოთას შეხედა.

- სად იბრძოდით?
- როსტოვთან.
- იქ დავეჭრეს?
- არა, უფრო აქეთ, ბატაიისკ რომ გამოვშორდით, მაშინ დავიქერი, ნაღმი მომხვდა. ორი დღე უგონოდ ვიყავი.
- ფაშისტი თუ გინახავთ?
- როგორ არა, ბევრჯერ.
- ალბათ მხეცს ჰგავს, არა?
- არა, ფაშისტი უფრო უარესია.
- შოთამ შუბლი შეიყრა და ცას გახედა.

ახალი სასწავლო წელი რომ დაიწყო და მთელი რაზმი ისევ სკოლაში შეეგრავოდით, ერთმანეთს ლაპარაკს აღარ ვაძლიდით. ყველას ჰქონდა მოსაყოლი, უქმად თურმე არავინ ყფილა. ვინ სოფლად, კოლმეურნეობაში მუშაობდა, ვინ მეორეებისათვის სამკურნალო ბალახს აგროვებდა, პოსპიტლებში დადიოდა.

მერე მტერი უქუაქციეს. საინფორმაციო ბიურო ყოველდღე სასიამოვნო ამბებს გადმოსცემდა. ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგებოდა...

ერთ გამთენიისას თოფი გავარდა. გავარდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

რამდენიმე წუთში ისეთი ბათქაბუთქი ატუდა, იფიქრებდით, ქალაქში მტერი შემოიჭრაო. მერე შეძახილებიც გაისმა:

— გამარჯვება, გამარჯვება! ომი დამთავრდა!

ეს იყო ყველასათვის საოცნებო, დაუფიქარი დილა.

მერე ის იყო, სკოლა დავათავრეთ, საყვარელ მასწავლებლებს დავემშვიდობეთ და ცხოვრების დიდ გზაზე გავედით. მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრე, რეზო ჩხეიძე ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორია. ის გრძელწინაინი გოგონა, დაჭრილ მებრძოლებისათვის მუსიკას რომ უქრავდა, ბავშვების საყვარელი კომპოზიტორია — რუსთაველის პრემიის ლაურეატს მერი დავითაშვილს ყველა იცნობს. პირლი გეგულაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილეა; მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები არიან ოთარ ტრაპაიძე და ოთარ შვიანიძე. გვიკ მეფისაშვილი ორ ათეულ წელს მეთრ რედაქტორობდა ქუთაისის საქალაქო გაზეთს და ახლა რადიოგადაცემებს ელმძღვანელობს. ყველა გვივადილ გზაზე, თავისი წლი ცხოვრება გამოჰყვდა, მაგრამ არავის ხსოვნად არ წაშლილა ომის მძიმე წლები, რომლებმაც უდიდესი დალი დასავაჩვენეს ბავშვობასა და სიყმაწვილს.

შარშან მაისში კავშირების სახლის სვეტებიანმა დარბაზმა უმახსანძლა პიონერთა VIII საკავშირო შეკრების 825 დღეგაატ, ჩვენი საშობლოს 15 რესპუბლიკის 20 მილიონიანი პიონერიის წარმომადგენლებს. შეკრებაზე საპატიო სტუმრად მიწვეული იყო სოციალისტური შრომის გმირი, კობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ნათელა ჩიქვანიძე.

...1949 წლის 29 აგვისტოს გაზეთის ფერმეცვლილ ფურცლებს თუ გადავხედავთ, ამოვხატოხავთ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: „1948 წელს ნახევარ ჰექტარ ნაკეთზე 6750 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფისათვის კობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის მოსწავლეს ნათელა ახლანის ასულს ჩიქვანიძეს ნთქიქოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება“.

...ნათელა ჩიქვანიძეს სწორედ იმ დღისსახსოვარი 1949 წლიდან ვიცნობ, იმ დღიდან მოყოლებული ვიცი მისი ყოველი ნაბიჯი, წარმატება, სიხარული თუ წუხილი, მისი საქმიანობა. მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი პიონერებთან, მშობლიურ სკოლასთან, 50-იანი, 60-იანი, 70-იანი თუ 80-იანი წლების პიონერთა თაობებთან. იგი საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

პიონერთა ორგანიზაციის მე-40 წლისთავზე ჩვენ კვლავ შევხვდით



ერთმანეთს, ერთად შემოვიარებო მის მშობლიური სოფლის ადგილები.

— ფერი იცვალა ჩვენმა სოფელმა, გაიზარდა, აშენდა, გალამაზდა, ჩაის უხვი მოსავლის მიღებით გაითქვა სახელი. — წამოიწყო ნათელამ საუბარი. — ჩემ სკოლაში გაიზარდნენ შრომის გმირები ბედრი მახოძე და ქეთევან გოგიტიძე. — დასისმა შემიდგა: — აი, აქ იღვა სოფლის სკოლა, სადღა ის ძველი, პატარა შენობა მის ნაცვლად ახალი, ნათელი შენობაა წამოკიშული.

ამ სკოლაში ნათელას ისე ხვდებიან, როგორც თავისიანს, აქაური რაზემულიც მის სახელს ატარებს.

ბობოუკათის სკოლის ფანჯრებთან ჩაის ბუჩქებით მოქარვული გორაკები მოჩანს. ასეთი გორაკებით ვის გააკვირვებ, მაგრამ პიონერებმა იციან, რომ ერთ გორაკზე ნათელა ჩილებადისა და მისი მეგობრების გაშენებული ჩაის პლანტაციაა. ნათელას თავისი ნაკვეთი ქვედა კვირიკეში ჰქონდა, სადაც ცხოვრობდა, ხოლო ეს პლანტაცია მისმა რაზემულმა სწორედ იმ წელს გააშენა, როცა ნათელამ გმირობა მიიღო.

ქვედა კვირიკეში ჩვენ ერთად მოვიხალეთ მისი ნაკვეთი. ვაზაუხულის ქათქათა მზე დაჰხაროდა ბაღვენახებით, ნარინჯებითა და თურინჯებით მოქარვულ სოფელს. ხახხასა ჩაის პლანტაცია ქალბით იყო სავსე. ვახხვლის სეფონი იღვა. ჩაის მოვლასა და კრეფას გამძლეობა, გულმოდგინება სჭირდება. ნათელამ ბავშვობიდანვე შეითვისა ეს.

მამინ მთელი აპარა ლაპარაკობდა ქობულეთად გმირებზე, ჩაის საუკეთესო მტკრეფებზე ასმათ ჯიჯავაძეზე, უღბიერ წერეთელზე და ბესირე კონცელიძეზე. ახალგაზრდობაც გაიტყა მთმა გმირობამ.

თურმე, როდესაც კომპიურნობის მაშინდელ თავმჯდომარეს, დავით ჭყონიას ნათელამ ჩაის ფართობის მოშომა თხოვა, მან გაიცინა და უთხრა: — წადი, ბიძია, და წიგნს მოკიდე ხელიო. ნათელამ პასუხად განცხადება დაუტოვა, განცხადებაში კი ეწერა, კვირიკეს ამოსავალში რომ ჩაის ფართობია, ის მომიშომეთ.

ნათელამ პირველივე წელს იუჩარა. ბრიგადამ, რომელსაც იგი ეხმარებოდა, გადაქარბებით შეასრულა ჩაის კრეფის გეგმები.

შრომა დედამ შეაუვარა. რვა ქალვანი გვერდში დედა მშობლებს საოჩახო თუ საკომპიურნეო სამუშაოებში. დედა ერთ-ერთი სტახანოვე-



ნათელა ჩილებაძე

ლი იყო ქვედა კვირიკეში, როცა ჩაისა და ციტრუსების გასაშენებლად ჩაგნარები იწმინდებოდა, ნიადაგი მზადდებოდა. შემდეგ მან ჩაის კრეფით გაითქვა სახელი. ასე რომ, მთელი ბავშვობა ნათელამ დედის გვერდით, ჩაის პლანტაციებში გაატარა. მოსწონდა ჩაის ბუჩქებზე დედის ხელეღბის სწრაფი მოძრაობა, თვითონაც ბაძავდა მას, მისი პირველი შენიშვნაც ახსოვს, — დაუყვირე მუდამ უნდა დაუკვირდე, ქართული ჩაი მსოლიოშია ცნობილი, თუ პირველ ხარისხს გაუბეშებული ფოთლონი მიაყოლებ, ჩვენი ჩაი ისეთი ადარ იქნება, როგორც მოსწონთ. დედის რჩევა დედამდე ახსოვს ბობოუკათის ჩაის ფაბრიკის დირექტორს ნათელა ჩილებაძეს.

დედამ რაუჭა მას ის პირველი კალათაც...

ჩვენი საშობლო დიდი სამაშულო ამის პრილობებს იწუშებდა. მთელი ქვეყნის ახალგაზრდობა შრომით

ენთუზიაზმს მოეცვა. მამინ კვირიკელმა ახალგაზრდებმა ჩაისკრეფის ახალი გაზრდილი გეგმები შესრულბულეს, ნათელაც მათ გვერდით დადგა. სანაქებოდ უწოდდა მისთვის განკუთვნილ ჩაის პლანტაციას. დედის რჩევას უგდებდა ყურს, კითხვლებოდა წიგნებს, სადაც ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებზე იყო მოთხრობილი, ზამთარ-ზაფხულზე წარუხვანდა ჩაის ნაკვეთზე: საკრეფი ფოთოლი რომ მოწვდებდა, ნათელამ თავის გადაწყვეტილებას არ უღალატა. ჩაის ბუჩქებზე ხელის სისწრაფეს უმატა, დღეში 250 კილოგრამ ფოთოლი კრეფდა. ავესტოს იმ სამახხოვარ დღესაც ბრიგადირი ნათელას მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთლის მიღებას ვერ აუდიოდა, კილოგრამები კილოგრამებს ემატებოდა, მერე უჯანსკნელი კილოგრამებიც დაქამდა. 4750! — გაისმა ბრიგადირის მხიარული შემახილი და მანვე პირველმა გადაკომდა ბრიგადის ყველაზე ნორჩი წევრი.

პიონერ ნათელა ჩილებაძის შრომის წიგნაკში ახალი ჩანაწერები ვაჩნდა; მალე მისი წარმატების ამბავი გაუთავდა და რადიომ მთელ ქვეყანას მოჰგინეს.

სახელდახელო მასზე შეტვირილ რაზემულს თავში მისი თავმჯდომარე ნათელა ჩილებაძე ეძღა. პიონერები მის განაჯარგულებას ელოდნენ და სწორედ აქ დაიარღვა პირველად ჩაისის დაქანონებული რიტუალი. ნათელას განაჯარგულებაზე 800 პიონერი კი დადგა რაზემულის ხაზზე, მაგრამ მერე... მერე პიონერთა წინამძღოლმა ხმა ვერ ამოიღო. რაზემულის წინაშე გმირი იდგა. მთელი სკოლა სიამაყით შესცქეროდა დამორცხვებულ გოგონას. შინ მობრუნებულს მთელი სოფელი მის ნაკვეთში შეეგება, გამაჩრკება ერთად იტყამს.

— ჩვენი სოფლის ყველაზე პატარა გმირიაო! — უხაროდა კომპიურნობის თავმჯდომარეს.

ნათელა ჩილებაძის ვზას ბევრი გაუყა, დღეს სოფელი 18 გმირს ითვლის. სხვა დროს აღბათ ჩოლოქს გაღმა არავის ეცოდინებოდა ნათელას

სოფლის ამბავი, ნათელამ და სოფლის სხვა გმირებმა კი მთელ ქვეყანას მოვიწინეს იგი.

მრავალრიცხოვან კონკრეტებს შორის მაშინვე გავარჩევთ ძველსა და ახალს. საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ყველა თაობას მოუწერია ნათელასათვის ბარათი. მათ შორის იგი სიყვარულით გამოარჩევს ერთს. იგი საბჭოთა არმიის რიგებიდან გამოუგზავნა ჭარისკაცმა ლევან სახეჩიძემ.

...ყველამ მოხოვა მეამბნა, როგორ მიაღწია სოციალისტური შრომის გმირობას ნათელა ჩელებამემ, მეც სიხარულით ავუსხენი. ჩვენი სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი ყოფილაო, მითხრეს ბიჭებმა, ყველა იხე მილოცავდა, თითქოს შენი ღვა-

ძლი ძმა ვყო. ნეტავ შემეძლოს იმ სიამაყის დადმოცემა, რომელიც აქ, რუსეთში, შენი გმირობის ამბით აღფრთოვანებულ ხალხში ვიგრძენი!...

ნათელა ჩელებამე პიონერულ ყელსახვევს გმირის ოქროს ვარსკვლავთან ერთად ინახავს. იგი სიყვარულით იხსენებს: „ბავშვი, რომელიც პირველად იკეთებს პიონერულ ყელსახვევს, ღელავს, ღელავს მარშინაც, როდესაც პირველად უპასუხებს პიონერულ დევიზზე. ასე ვიყავი მეც, ყველა ჩემი ამხანაგიც. ჩვენ ვამაუობდით პიონერული ყელსახვევით, ჩვენი რაზემულით, ჩვენი კარგი სკოლით, შრომისმოყვარე თანასოფლებით, გული სიხარულით გვეცხებოდა, როდესაც კოლმუნერნობის თავმჯდომარე ძია დავითი ღმილით

იტყოდა: — პიონერები ჩემს სოფელში დიდი ძალააო!
 გმირობის ნაბიჯი პიონერულ ქვეყანაში რაზემულიდან გადავდგი, კომკავშირში შესვლის შემდეგ კი პიონერული რაშმის ხელმძღვანელად ვმუშაობდი და მუდამ ვცდილობდი, აქვც დამემკვიდრებინა ის კარგი ტრადიციები, რომლებიც ჩვენს პიონერულ რაშმს, რაზემულს ჰქონდა. დღესაც პიონერებთან ყოველ შეხვედრაზე ძველებურად ვაცნობ ნორჩ ღენინელებს ჩემი რაზემულის კარგ ტრადიციებს. პიონერული დევიზის პასუხი „მზად ვარ!“ მთელი ჩემი ცხოვრების დევიზი გახდა, და დღესაც მისი ერთგული ვრჩები“...

ნათელა ფაილოძე

პიონერული გატიანის ფურცლებიდან

თბომაგალი „გორის ძენლამე“ ბათუმელ მოსწავლეთა მიერ შეკრული ჯგუფითა აბაშული, 1968 წ.

პირნერი ზ. ძენლამე ბარდამაგალი ალას ბადასკაშს ბათუმის გეოგრაფიული ქარხნის ბრიგადირ ზ. ლოკისოსს, რომლის ბრიგადაც აბაშს თბომაგალი „გორის ძენლამის“ 1968 წ.



1968 წელს დაიწყო პიონერთა თბომაგალი „გორის ძენლამე“ კლასი. 500-ზე მეტი პიონერი 1969 წლის აპრილში ბრუნდნენ ბათუმში აბაშის რაიონის პიონერული კლასი „გორის ძენლამის“ ბრუნდნენ.

1960 წლის 19 აპრილს თბომაგალი ბრუნდნენ 3. ი. ლენინის დაბადების 80 წლისთავის დღეს მიძღვნილ პიონერული თბომაგალი „გორის ძენლამის“.

1962 წლის 17 მაისს 3. ი. ლენინის დაბადების საპატივით პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

1962 წლის 19 მაისს ბრუნდნენ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავის დღეს მიძღვნილ საპატივით პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

1962 წლის 10 ივლისს „გორის ძენლამის“ პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.



აი, ამ ლამაზ და ნაძვრისა და ხეობისა
მოთხრობისა და მოთხრობისა
რაიონის პიონერთა სახლი.



მანანა
გელაშვილი

პიონერთა საკულტორო

